ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №217

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

დ. ქედა „12„ დეკემბერი 2019 წ.

ქედის მუნიციპალიტეტი მერია (შემდგომში „შემსყიდველი”), მუნიციპალიტეტის მერის მ.შ.***როლანდ ბერიძის*** სახით ერთის მხრივ და მეორეს მხრივ საქართველოს შსს. საჯარო სამართლის იურიდიული პირი-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველო(მდებარე. ქ. ბათუმი ტბელ აბუსერიძის ქ.№11) სამმართველოს უფროსის ***კარლო ურუშაძის*** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი”) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის 10^1 მუხლის, მე-3 პუნქტი „ა” ქვეპუნქტის, „იარაღის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, 2004 წლის 6 ივლისის „საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №261”-ისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის №266 ბრაძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების” შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1„მიმწოდებელი” იღებს ვალდებულებას განახორციელოს „შემსყიდველის”ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის (შემდგომში „ობიექტად” წოდებული) დაცვას ცეცხლსასროლი (სამსახურებრივი-საშტატო) იარაღის გამოყენებით, რაც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს დაცვის პოლიციის დეპართამენტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას (CPV 79713000-დაცვის მომსახურება).
1.2 „შემსყიდველი” იღებს ვალდებულებას „მიმწოდებელ”-ს გადაუხადოს დაცვის მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.
1.3. წინამდებარე ხელშეკრულება არეგურილებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა მხარეთა შორის.

მუხლი 2. დაცვის თანამშრომელთა საშტატო განრიგი და დაცვის რეჟიმი.

2.1.ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებულ ობიექტის დაცვას უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველო, ხელვაჩაური-შუახევის დაცვის პოლიციის ქვეგანყოფილების პოლიციის 1 (ერთი) ინსპექტორისა და 7 (შვიდი) დაცვის პოლიციის თანამშრომლის საშტატო ერთეულით.
2.2. ობიექტის დაცვა განხორციელდება ყოველდღიურად, დღე-ღამეში 24 საათის განმავლობაში, ცვლაში არანაკლებ 2(ორი) დაცვის პოლიციის თანამშრომლის მეშვეობით.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. „შემსყიდველი” ვალდებულია:
3.1.1.უფასოდ გამოუყოს სამსახურეობრივი და დამხმარე სათავსოები, მოწყობილობები, ინვენტარი, კავშირგაბმულობის საშუალებები, უზრუნველყოს მათი ტექნიკური გამართულობა, შეუქმნას ნორმალური საყოფაცხოვრებო-შრომითი პირობები.
3.1.2. განახორციელოს „ობიექტის” პირველადი და შემდგომი გამოკვლვის აქტების მოთხოვნათა შესრულება. „მიმწოდებელთან” ერთად იზრუნოს „ობიექტის” დაცვის სრულყოფისათვის.

3.1.3. „ობიექტის” მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში არ შევიდეს მასში „მიმწოდებლის” თანამშრომლების გარეშე და არ დაიწყოს მატერიალურ ფასეულობათა აღწერა.
3.1.4.„მიმწოდებელს” 15 დღით ადრე აცნობოს და მასთან შეთანხმებით გადაწყვიტოს „ობიექტზე” მოსალოდნელი ყველა ის ცვლილებები, რომელიც შეეხება დაცვის უსაფრთხოებას: („ობიექტის” დაცვითი სიგნალიზაციით აღჭურვა, მუშაობის რეჟიმის ცვლილება, სამშენებლო სარემონტო მუშაობის წარმოება და ა.შ.)
3.1.5. დაცვის თნამშრომლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს”.
3.1.6. „შემსყიდველს” ეკრძალება დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე დაავალოს დაცვის თანამშრომლებს იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც არ არის განსაზღვრული მოკვლევის აქტით.
3.2. „მიმწოდებელი” ვალდებულია:
3.2.1. არ გაამჟღავნოს „შემსყიდველის” სამსახურეობრივი საიდუმლოება.
3.2.2. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტში მითითებულ ობიექტში საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობების დაცვა.
3.2.3. „პოლიციის შესახებ” კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები.
3.2.4. „მიმწოდებელი” ზარალისათვის პასუხისმგებლობას კისრულობს „მიმწოდებლის” თანამშრომლის მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.
3.2.5. ზარალის ოდენობის განსაზღვრა მოხდება, მხარეთა მონაწილეობით შედგენილი შედარების აქტით, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს „შემსყიდველის” საბუღალტრო დოკუმენტაციას.
3.2.6. „შემსყიდველისათვის” ფაქტიური ზარალის ანაზღაურებას „დაცვა” მოახდენს ერთობლივი კომისიის დასკვნის ან სასამართლოს, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.
3.2.7. ერთი თვით ადრე აცნობოს „შემსყიდველს” დაცვის მომსახურების ტარიფის გაზრდის შესახებ, რაც გამოწვეული იქნება პოლიციელთა სახელფასო მინიმუმის ზრდით, ხოლო მისი შეუთანხმებლობის შემთხვევაში „მიმწოდებელი” იტოვებს უფლებას ცალმხრივად გაწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.
3.2.8. „შემსყიდველი”-ს მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ორი თვის სახელშეკრულებო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში „მიმწოდებელი” უფლებამოსილია ხელშეკრულება შეწყვიტოს ცალმხრივად, ამასთანავე „შემსყიდველის” ვალდებულება ძალაშია მის სრულ ფულად ანაზღაურებამდე
3.3. „მიმწოდებელი”პასუხისმგებლობას არ კისრულობს თუ:
3.3.1. „შემსყიდველმა” არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, „ობიექტის” პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნები.
3.3.2. თანამშრომელთა პირად საკუთრებაზე, რომელიც დატოვებული იქნა დასაცავ „ობიექტში”. ასევე, საცავებში (ოთახებში) არსებულ იმ მატერიალურ ფასეულობებზე, რომელიც დაცვას არ ჩაბარდება დაკეტილ (დალუქულ) მდგომარეობაში და სათანადო წესით არ იქნება გატარებული მიღება-ჩაბარების ჟურნალში. „მიმწოდებელი” პასუხისმგებელია ლუქის დაურღვევლობაზე.
3.3.3. მატერიალურ ფასეულობების ქურდობისათვის, თუ ქურდობა ჩადენილია „შემსყიდველის” მიერ „ობიექტის” დაცვისათვის ჩაუბარებლობის მიზეზით.

მუხლი 4. დაცვის მომსახურების ღირებულება და მხარეთა შორის ანგარიშსწორება

4.1. დაცვის მომსახურების ღირებულება ერთ თვეში შეადგენს **6700** (ექვსიათას შვიდასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით, (მათ შორის ერთ ინსპექტორი **1100** (ათასასი) ლარი, ერთი დაცვის პოლიციის თანამშრომელი 800 (რვაასი) ლარი. წლიური სახელშეკრულებო თანხა შეადგენს **80400** (ოთხმოციათას ოთხასი) ლარს .

4.2. ანგარიშსწორება მხარეთა შორის მოხდება ყოველ საანგარიშო თვის ბოლოს „მიმწოდებლის" მიერ გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

მუხლი 5. უფლებების გადაცემა

5.1 „მიმწოდებელმა" „შემსყიდველის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან ფორს-მაჟორული შემთხვევების დროს: ომი, საომარი მდგომარეობა ქვეყანაში, მიწისძვრა, ხანძარი და სხვა სტიქიური მოვლენები, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება.

მუხლი 7. სადაო საკითხების გადაწყვეტა

7.1 „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოებები და დავები, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირვგვლივ.

მუხლი 8. გამოყენებული სამართალი

8.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 9. ხელშეკრულების ენა

9.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვრიდან და მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება 2020 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ხოლო ხელშეკრულება მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრამდე.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს ურთიერთშორის მანამდე გაფორმებული ყველა ხელშეკრულება, აღნიშნული ობიექტის საპოლიციო ძალებით დაცვის შესახებ.
10.3. ხელშეკრულების გაუქმება დაიშვება:
ა) მხარეთა შეთანხმებით ერთი თვით ადრე წერილობითი მომართვის საფუძველზე.
ბ) ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში.
გ) ცალმხრივად „შემსყიდველის" მიერ იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი" დაუყოვნებლივ აანაზღაურებს დარჩენილ დროისათვის დაცვის სრულ ღირებულებას.
დ) ცალმხრივად რომელიმე მხარის მიერ, თუ მხარე არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მუხლი 11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რომელიც აღნიშნული ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია.
11.2. სადაო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით.
11.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/ელექტრონული შტამპით.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„ შემსყიდველი “

ქედის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი დ. ქედა, მ. კოსტავას ქ.№3
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი”-ს
ქედის ფილიალი; ბანკის კოდი **№LBRTGE22**
ა.ა **№GE66LB0120111389440000**
საიდ. კოდი **№246762061**

ქედის მუნიციპალიტეტის მერის მ.შ. **/რ. ბერიძე/**

„მიმწოდებელი “
ს/კ 211350928
სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი
თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კილომეტრი
მიმღების ბანკი_ სახელმწიფო ხაზინა;
მიმღების დასახელება _ ხაზინის ერთიანი ანგარიში;
ბანკის კოდი _ TRESGE22;
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი _707117043

აჭარის დაცვის პოლიციის
სამმართველოს უფროსი */კ.ურუშაძე/*

Karlo Urushadze

Digitally signed by Karlo Urushadze
Date: 2019.12.12 16:29:14 +04'00'